ლ. მარქსის სახ. საქ. სსრ საჯარო ბიბლიოთეკა. თბილისი
6596

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 1 აგვისტო, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 31 (190) ფასი 30 კაპ.

F 76 N 370

## სტალინი ჩვენი გამარჯვების დროშაა

ასეული იერიშისათვის ემზადებოდა, როცა ეფრეიტორი ნიკოლოზ ფედოშჩენკო მეთაურთან გამოიძახეს. ის შევიდა ქოხში, სადაც მეთაური ბრძოლის გეგმას ადგენდა. იქვე კედელზე **სტალინის** პორტრეტი ეკიდა. ქოხის ირგვლივ განუწყვეტლივ გაისმოდა ქვემეხების გრუხუნი. ეფრეიტორმა საბრძოლო დავალება მიიღო, შემდეგ ბელადის პორტრეტს შეხედა და წარმოსთქვა:

— ბრძოლის დროს მუდამ მასზე ვფიქრობ, მისი სახელი მამხნევებს და ამიტომ შეტევაზედაც მუდამ ნათელი გონებით მივდივარ...

ეს ეპიზოდი, რომელსაც ბატალიონის კომისარი მოცენოკი გადმოგვცემს თავის წერილში, ფრიად საგულისხმო, დამახასიათებელი და ღირსშესანიშნავია. ასე ფიქრობს და ამას განიცდის არა მარტო მამაცი ეფრეიტორი ფედოშჩენკო, ასე ფიქრობენ და ამას განიცდიან წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები, სახალხო ლაშქრის მეომრები, მრავალი ათასი პარტიზანი, რომელნიც გმირულად იბრძვიან მტრის ზურგში. ასე ფიქრობს და ამას განიცდის მუშათა კლასი, კოლმეურნენი და ინტელიგენცია — მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც აღსდგა და წამოიმართა სამშობლოს დასაცავად, ფაშიზმის ურდოების — კაციჭამიებისა და გაცოფებული ვანდალების—გასანადგურებლად. უსაზღვროა, ფოლადზე უფრო მტკიცე და გაუტეხელია ის სიყვარული ბოლშევიკური პარტიისადმი და დიდი **სტალინისადმი,** რომლითაც გამსჭვალულია მთელი არსება საბჭოთა ხალხისა, რომლითაც აღსავსეა გული ყოველი საბჭოთა პატრიოტისა.

ამ სიყვარულმა გაგვზარდა ჩვენ, ამ სიყვარულის ნათელმა შუქმა ააყვავა ჩვენი სამშობლო, ამ სიყვარულმა მისცა აზრი და სილამაზე ჩვენს სიცოცხლესაც. **სტალინის** სახელი სიმბოლოა ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვებისა, ეს არის სიმბოლო საბჭოთა კავშირის ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა. **სტალინი** მუდამ იყო, არის და იქნება დროშა ჩვენი გამარჯვებისა. სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში, როცა მტერი **ლენინის** ქალაქს უახლოვდებოდა, როცა ცარიცინი და მრავალი სხვა საბჭოთა ქალაქი თავგანწირულად იბრძოდა თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების ურდოების, ბოლშევიკური პარტია, **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი** ბრძოლის ყველაზე უფრო საშიშ, ყველაზე უფრო გადამწყვეტ უბნებში **სტალინსა** ჰგზავნიდნენ. და სადაც კი დიდი სამხედრო სტრატეგი, მასების გენიალური ორგანიზატორი **სტალინი** გამოჩნდებოდა, ფოლადისებური წესრიგი მყარდებოდა, ჩვენი ჯარების ბრძოლისუნარიანობა ერთი ასად იზრდებოდა და გამარჯვებაც ჩვენს მხარეზე იყო. **სტალინის** სტრატეგიული გეგმით გაანადგურა საბჭოთა ხალხმა დენიკინისა და კოლჩაკის, იუდენიჩისა და ვრანგელის ურიცხვი ურდოები.

სტალინური გეგმით გავიმარჯვეთ ჩვენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე, სტალინური გეგმით გავიმარჯვეთ სამეურნეო ფრონტებზე, სტალინის ხელმძღვანელობით ავაშენეთ სოციალიზმის დიადი შენობა, ბელადის ბრძნული ხელმძღვანელობით განმტკიცდა, გაიზარდა და უძლეველ ძალად იქცა ჩვენი წითელი არმია, ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

ახლა, როცა ჩვენი სამშობლო განსაცდელშია, როცა ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს გაცოფებული მტრის ურდოები თავს დაესხნენ, როცა ცოფიანი ფაშისტური ურჩხული ცდილობს ხელში ჩაიგდოს და დაიმონოს ჩვენი სამშობლო, ქუსლით გასთელოს ჩვენი წინაპრების სისხლით და ოფლით მორწყული მიწა, სადაც ჩვენ თვალი ავახილეთ, სადაც დავიზარდენით და მზიური ცხოვრება ვიხილეთ — ამ მრისხანე ჟამს მთელი ჩვენი ხალხის ფიქრი, გრძნობა და სიყვარული მიპყრობილია სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისაკენ, დიდი ბელადისა და მთავარსარდლის **სტალინისაკენ.** „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ — ამ საბრძოლო ძახილით გადადიან იერიშებზე საბჭოთა მეომრები და ანადგურებენ თავხედ მტაცებლებს. ამხანაგ **სტალინის** სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის პოსტზე დანიშვნამ ახალი ძალები და ახალი სიმხნევე შემატა წითელ არმიას, სახალხო ლაშქარს, მთელ საბჭოთა ქვეყანას. სიმამაცე, გაბედულობა, ბრძოლაში უშიშროება, მტერზე გამარჯვების დაუცხრომელი და ჩაუქრობელი სურვილი საბჭოთა ადამიანების საარსებო მოთხოვნილებად გადაიქცა. და ისინი უფრო მჭიდროდ ირაზმებიან **ლენინ-სტალინის** სახელოვანი პარტიის გარშემო და მთელ ძალებს მტერზე გამარჯვების საქმეს ახმარებენ.

სამამულო ომში ყოველი ჩვენგანის, ყოველი საბჭოთა მოქალაქის წმინდა მოვალეობაა — გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი მტერზე გასამარჯვებლად. სამშობლო ახალ, უმაგალითო საქმეებს მოითხოვს ყოველი საბჭოთა ადამიანისაგან, სადაც უნდა იმყოფებოდეს და რა სამუშაოსაც უნდა ასრულებდეს იგი. ახლა ყოველი საბჭოთა მოქალაქე, როგორც „პრავდა“ მოგვიწოდებდა ორი-სამი კაცის სამუშაოს უნდა ასრულებდეს. ჩვენ ყველამ უნდა გადმოვიღოთ იმ მუშების მაგალითი, რომელნიც წარმოებას არა სტოვებენ მანამდე, სანამ ესა თუ ის დიდმნიშვნელოვანი თავდაცვითი დავალება შესრულებული არ იქნება. ასე, ამ გზით, მთელი ძალღონის დაძაბვით სჭედავენ საბჭოთა კავშირის მშრომელები მტერზე გამარჯვებას.

საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია თავისი ძალისა და ძლიერების შეგნებით. დიდი **სტალინის** სახელით მიდიან ბრძოლაში საბჭოთა სამშობლოს პატრიოტები, და ისინი გაიმარჯვებენ ფაშისტ ქვეწარმავალზე. საბჭოთა ხალხი აღგვის პირისგან მიწისა ფაშიზმის გაცოფებულ ურდოებს!

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონ ფრანკლინ რუზველტის პირადი წარმომადგენელი ბატონი ჰარი ჰოპკინსი

30 ივლისს, ამხანაგმა სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონ ფრანკლინ რუზველტის პირადი წარმომადგენელი — ბატონი ჰარი ჰოპკინსი, რომელსაც თან ახლდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში ბატონი შტეინჰარდტი.

საუბარში მონაწილეობა მიიღო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხანაგმა მოლოტოვმა.

**(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).**

## შეთანხმება სსრ კავშირსა და პოლონეთს შორის

ამა წლის 30 ივლისს, ლონდონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის მთავრობას შორის. სსრ კავშირის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დიდ ბრიტანეთში ამხ. მაისკიმ, ხოლო პოლონეთის მთავრობის სახელით — პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა სიკორსკიმ.

ქვემოთ მოყვანილია შეთანხმების ტექსტი.

შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის მთავრობას შორის:

1. სსრ კავშირის მთავრობა ძალადაკარგულად სცნობს საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის ხელშეკრულებებს პოლონეთში ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ.

პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ პოლონეთი რომელიმე მესამე მხარესთან დაკავშირებული არ არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული არავითარი შეთანხმებით.

2. დიპლომატიური ურთიერთობა ორივე მთავრობებს შორის აღდგენილი იქნება ამ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ და დაუყოვნებლივ დანიშნული იქნებიან ელჩები.

3. ორივე მთავრობა კისრულობს ურთიერთ ვალდებულებას — ყოველნაირად დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთს ახლანდელ ომში ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ.

4. სსრ კავშირის მთავრობა გამოსთქვამს თავის თანხმობას, რომ სსრ კავშირის ტერიტორიაზე შეიქმნას პოლონეთის არმია, რომლის სარდლობას დანიშნავს პოლონეთის მთავრობა საბჭოთა მთავრობის თანხმობით. პოლონეთის არმია სსრ კავშირის ტერიტორიაზე ოპერატიული მხრივ იმოქმედებს სსრ კავშირის უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაშიც იქნება პოლონეთის არმიის წარმომადგენელი. ყველა დეტალი სარდლობის ორგანიზაციისა და ამ ძალის გამოყენების შესახებ გადაჭრილი იქნება შემდგომი შეთანხმებით.

5. ეს შეთანხმება ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი ხელმოწერის მომენტიდან და რატიფიკაციას არ საჭიროებს.

ეს შეთანხმება შედგენილია ორ ცალად, თვითეული პოლონურ და რუსულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

შეთანხმებას დართული აქვს შემდეგი შინაარსის ოქმი:

საბჭოთა მთავრობა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დროიდან ამნისტიას ანიჭებს პოლონეთის ყველა მოქალაქეს, რომლებიც ამჟამად საბჭოთა ტერიტორიაზე პატიმრობაში იმყოფებიან, ან როგორც სამხედრო ტყვეები ან რაიმე სხვა საკმაო საფუძვლით.

**(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).**

## ოცდაერთი ერის ბატალიონი

რუსეთის სახლიტგამომცემლობა უშვებს მსოფლიო ანტიფაშისტური ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო წიგნს — ესპანური რესპუბლიკანური არმიის ჩაპაევის სახელობის გმირული ბატალიონის მებრძოლთა წიგნს. წიგნი რუსულად ითარგმნება.

„ჩაპაევის“ ბატალიონს ესპანეთში რამდენიმე ფრონტზე მოუხდა ბრძოლა — ტერუელთან, მალაგასთან, სიერა-ნევადაში, პოსობლანკასთან და ბრუნეტესთან, იბრძოდა მოწინავე პოზიციებზე რვა თვის განმავლობაში, შეუცვლელად და შეუსვენებლად.

ბრუნეტესთან ბრძოლაში ბატალიონი ძალზე დაზარალდა და შეთხელდა. ამ ბრძოლის შემდეგ ბატალიონი, რომელშიაც ოცდაერთი ერის წარმომადგენელნი შედიოდნენ, დაშლილ და დანაწილებულ იქნა სხვა, სათანადო ეროვნებებისაგან შემდგარ, ერთეულებს შორის.

წიგნი შეადგინა დასახელებული ბატალიონის შტაბის საინფორმაციო ნაწილის უფროსმა ალფრედ კანტოროვიჩმა. როგორც კანტოროვიჩი შესავალ წერილში აღნიშნავს, წიგნის შედგენაში 78 ავტორს მიუღია მონაწილეობა.

წიგნის შესავალ ნაწილში მოთავსებულია „ჩაპაევის სიმღერა“—ბატალიონის საბრძოლო ჰიმნი, შედგენილი ულრიხ ფუქსის (ვალტერ ულრიხის) მიერ, რომელიც მოკლულ იქნა ტერუელთან ბრძოლაში. წიგნის რუსული თარგმანი ეკუთვნის რიტ რაიტს.

## გმირთა-გმირები

### ალექსანდრე ქუთათელი

მტარვალს უნდოდა ჩვენი ვაება,  
ქვეყნის დაბუგვა ცეცხლის გუგუნით,  
მონობის თოკით ხალხი დაება  
და ჩამოეშვა შავი უკუნი.

ასეთ განზრახვით მოალყა მამულს  
და გადმოლახა ჩვენი საზღვარი,  
მაგრამ რუსეთის ველებზე დაბმულს  
თავზე დაატყდა რისხვა სხვაგვარი.

გავარდა მეხი და თითქო კლდენი  
ილეწებიან გრგვინვის სიმძიმით,  
შურისძიების დგებიან დღენი,  
თავზარდამცემი ცეცხლის ციმციმით.

კვნესის ფოლადის გასაბურღავი,  
გამოწრთობილი ქვემეხის ლულა,  
ქვემეხს მოჰყვება ტანკის ბუღრავი  
და მფრინავების ზეციდან კრულვა.

არ აცილდება ვერაგს ყუმბარა,  
რადგან სამშობლოს უტევს ტიალი.  
გადავარდნილი წყლის საგუბარად,  
ისმის დაჭრილი ტანკის ღრჭიალი.

მტერთან ჰაერში მებრძოლ ნაოსნებს  
ერგოთ დიდება და პირველობა  
და მთელ მსოფლიოს ახლა აოცებს  
მძლე შევარდნების საკვირველება.

დედამიწიდან ამონაღები  
და გოლიათი ქვათა ბუდობი  
ცას ეყუდება ცეცხლის ნაღმებით,  
აფეთქებული ათას ფუთობით.

ზანზარებს მყარი საძირკვლებამდე,  
თითქო ქვეყანა ნგრევას აპირებს,  
მაგრამ გაურბის მტერი, ხედავდეთ,  
საბჭოთა ქვეყნის მებრძოლ ამირნებს.

ახლავთ მებრძოლებს ბელადის აზრი,  
ვერაგი მტერის დასაძლეველად,  
ბრძენი არწივის თვალები ბასრი  
და ამოწვდილი ფოლადის ელვა.

მოვლენ ჯარები ვოლგა, რიონის  
გმირთაგმირები დაუცხრომელი,  
რაზმავს სტალინი, მხარე მშობელი  
და სიყვარული კაცობრიობის.

## ახალი წიგნები ომზე

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ მახლობელი ორი თვის განმავლობაში გამოსცემს მთელ რიგ ახალ წიგნებს სამხედრო-თავდაცვის თემებზე.

ომს ფინელ თეთრგვარდიელებთან მიუძღვნება ხუთი შემდეგი წიგნი: ლ. არგუტინსკაიას მოთხრობა „ლადოგის ჩრდილოეთით“, გ. ფიშისა და ვ. ხოდაკოვის მოთხრობათა კრებული „ფრონტზე“, ნ. ბოგდანოვის წიგნი „რკინის ანგელოზი“, ივ. მოლჩანოვის მოთხრობათა კრებული „კარელიის ყელზე“ და ბ. ლიხარევის „მესანგრის დღიური“.

წითელი არმიის გმირულ ეპიზოდებს სამოქალაქო ომში აგვიწერენ მ. ბუშენკოვი მოთხრობაში „უკვდავება“ და ე. დოროში მოთხრობებში ცხენოსან არმიაზე — „სამხედრო ველი“.

ს. როზენფელდმა თავისი მოთხრობა „ჰუნები“ მიუძღვნა გერმანელი ოკუპანტების განადგურებას უკრაინაში.

ალბანელების ბრძოლას ავსტრია-გერმანიის ოკუპანტებთან პირველ იმპერიალისტურ ომში აგვიწერს ბელა ილეში თავის წიგნში „შკიპეტარი“.

## სახალხო ლაშქარი

### კალე ბოგოხიძე

ლენინის დროშა გავშალოთ  
მზის სხივით ნაელვარები.  
მრავლობს სახალხო ლაშქარი  
იმუსვრის მტერთა ჯარები.

მოდის მშრომელთა არმია,  
რაზმი რაზმს ერთვის გმირული,  
ხელთ ბასრი ხმლები უჭირავთ  
ლახვარი პირმოპირული.

ჰიტლერი აირს ამზადებს  
მსოფლიოს მახრჩობელადა,  
— მტერს მგლური ზრახვა  
დავუხშოთ, —  
ჩვენ მოგვიწოდა ბელადმა.

დროშების ტყეში შამხანებს  
ლულები უჩანთ ელვადა  
დედა-ქალაქი ფეხზე სდგას,  
გასულან ბრძოლის ველადა.

ფეხზე დგას დიდი, პატარა,  
ქალაქები და სოფლები.  
მტრის მოსასპობად გზავნიან  
ლომგულ ვაჟკაცებს მშობლები,  
ცის სილაჟვარდეს ჰფარავენ  
მძლეთა-მძლე რკინის ორბები.

— ხელი ხმალს ვიკრათ, წინ  
გასწით  
ჩვენო სახალხო ჯარებო,  
პარტიზანულო რაზმებო  
ბრძოლებში ნაგრიგალებო,  
ლახვრის ჩამცემო მტრის ზურგში,  
მტრისგან ხელმიუკარებო!

გავანადგუროთ, დავბუგოთ —  
მტარვალთა გზა და სავალი,  
დიდია ჩვენი რიგები,  
კვლავ შეგვემატოს მრავალი,  
გზას გვინათებდეს სტალინი —  
ჩვენი მზე ამომავალი!

წინ მძლეთა-მძლეო რაზმებო,  
წინ გასწით ბრძოლის ნაღარით,  
არ დაანებოთ ტირანებს  
ნარბევი, ნაყაჩაღარი!

ფოლადის ჯავშნად ბელადთან  
დავდგეთ, მტერს სისხლი სდიოდეს,  
ფაშისტთა ზურგში ხანძარი  
უფრო ძლიერად ღვიოდეს,  
შედრკეს. მტრის შავი ლაშქარი  
ბნელ უფსკრულებში სცვიოდეს!

ჩქარა გვენახოს მრბეველთა  
ურდონი ფერფლად ქცეული,  
ყვავ-ყორნის ლეშად გადიქცეს  
თვითონ ჰიტლერი წყეული,  
მისი სამყოფი ბუნაგი  
გვენახოს ჩამოქცეული!

წინ, დიდ ოქტომბრის ჯარებო  
დასწვით მტრის გზა და სავალი,  
დიდია ჩვენი რიგები,  
კვლავ შეგვემატოს მრავალი,  
გზას გვინათებდეს სტალინი —  
ჩვენი მზე ამომავალი!

## სიმღერა კომისარ ჩარგეიშვილზე

### ჯეკ ალტაუზენი

ჩვენ ძერები ფაშისტური არაერთხელ დაგვიფშვნია,  
ჩვენ ტყვიებით ვაყრუებდით იმათ ყივყივს მტრულად;  
ჩარგეიშვილს ყველგან ვხედავთ, ჩვენთან ერთად ჩვენს რიგშია—  
ყველგან ვხედავთ სახელოვანს, მხნე ბოლშევიკს, გულადს,  
ახოვან შვილს კავკასიის და მზიანის სამხრეთისა,  
სადაც თარის საამურ ხმას მტკვრის შხუილი ერთვის,  
ჩვენ დავუხვდით მეგობრებად, ის გვეძმო და შეგვეთვისა  
მამაც შვილებს დიდი ვოლგის, კამის, დონის, დნეპრის.  
ამ საშინელ და სასტიკ დღეს სიმწარისა და ღირსების  
მშობლიური მხარისათვის ყველა ადგა ერთად,  
დაირაზმა პოლტაველი, ფრუნზელი და თბილისელი,  
ვაჟკაცები უკრაინელ, რუს და ქართველ ერთა.  
იმიტომ რომ სულ ვცხოვრობდით ჩვენ საერთო გამარჯვებით,  
მუდამ გვქონდა სასუნთქველად ჩვენ ჰაერი ერთი,  
ჩვენთან ვხედავთ ჩარგეიშვილს, მასთან რიგში შენაკრებნი,  
მტკიცედ ვიცავთ მასთან ერთად ჩვენს სამშობლოს მკერდით.  
სულ სავსეა ის მხნეობით, გატაცება გაიზარდა  
და ვერავინ ვერ ჩააქრობს ამ წმინდა ცეცხლს მასში;  
ჩვენს გონიერ ხელმძღვანელთან, ჩვენს უშიშარ კომისართან  
ვბრძოლებ და გაიმარჯვებ, ფრთებს სიამით გაშლი...  
და როდესაც ვაწარმოებთ მტერთან ბრძოლას გაფთრებულს,  
ცხელი ტყვიის გრიგალივით გადამწურავ ცეცხლქვეშ —  
სულერთია, შიში არ აქვს მის გვერდით მდგომ ჩვენს მძლავრ  
კრებულს,  
ყველამ ვიცით—არ იქნება ის შედრკეს და შერცხვეს.  
არასოდეს გასაჭირში თავის მებრძოლს არ დასტოვებს,  
თუ ოდნავად დაიჭრები—მოცოცდება გამრჯე,  
შენ, როგორც ძმას, თბილ ალერსით კვლავ სიცოცხლით  
აგათრთოლებს,  
შენს ტყვიამფრქვევს, დადუმებულს, მოუწევა მარჯვედ,  
რომ ფაშისტთა ურდოებზე გზავნოს ტყვია, როგორც სეტყვა,  
რომ ბრძოლაში არ შენელდეს მკვეთრი ცეცხლი შენი;  
მისი მკვირცხლი სიმამაცე, მისი აზრი, მისი სიტყვა  
ყველა ჩვენგანს გულს აუვსებს გამარჯვების რწმენით.

**(მომქმედი არმია).**

თარგმანი ა. სიჭინავასი.



მტერი რომ არ მოგვერიოს მტერს ვექცეთ როგორც ლომი, რომ იცვნიოს როგორია სამამულო, ხალხის ომი.

მტერს განდევნის საქახანეს ისევ დასცემს ვერაგს ქვევით პარტიზანის შაშხანა და პარტიზანის ტყვიამფრქვევი.

ნაკვეთის ფონდარი № 59

# გ მ ი რ ი

**დემნა შენგელაია**

სოფლის განაპირას დედა გუშაგად იდგა და მტერს ზვერავდა, იქ, მდინარის პირას სამწყემსურში გაგზავნილ შვილს თვალყურს გაფაციცებით ადევნებდა, რომ რამე ფათერაკი არ შემთხვეოდა.

შვილს პირობა წინდაწინ ჩამოართვა, — ხიფათის მოლოდინში კორომებს შორის ამართულ მაღალ ჭანდრის ხეზე უნდა აცოცებულიყო და იქიდან ენიშნებინა.

მოხუცი, იქვე ლაღად გაშლილ დროშის ძირას, იჯდა და ველებს, კორომებს ისიც გაფაციცებით გასცქეროდა.

დედას ხელთ შაშხანა ეპყრა, ბაბუას მეგობარივით ნაცადი ძველისძველი ფილთა თოფი.

დედამ ერთხელ კიდევ გახედა მშობლიურ უკრაინის თვალუწვდენ მდელოებს, შორეულ გორაკებს და, თვალი მდინარის პირას ლურჯად აშლილ კორომებს ერთხელ კიდევ რომ მოავლო, შეკრთა. ბავშვი ხეზე მკაფიოდ მოსჩანდა და ნიშანს იძლეოდა. დედამ მაშინვე იცნო თავისი პირმშო და მოხუცს მღელვარებისაგან ათრთოლებული ხელი მხარში ისე ღონივრად ჩაავლო, რომ ისიც წამოდგა, ბეცი თვალებით ჭანდრის ხეს ისიც დააკვირდა.

— ხედავ? ნიშანია! — ამოხდა სულმოუთქმელად მშობელს და ზარდაცემული თვალებით უცქეროდა, თუ როგორ მიცოცავდა ხეზე ვიღაც კაცი. კაცმა ბავშვს ფეხებში ხელი ჩაავლო, ძირს ძალისძალად მოათრევდა, მაგრამ ბავშვი არ ნებდებოდა, იბრძოდა, იგზინებოდა და ის კი, მისი დედა, აქ იყო და ვერ ეხმარებოდა. დედამ ერთხანს მღელვარებისაგან ხმა ვერ ამოიღო და მერე მისთვისვე მოულოდნელად საშინელი ხმით დაიწივლა:

— ჩქარა განგაში!

და მართლაც მთელ სოფელს განგაშის ხმა ელვის სისწრაფით მოედო.

ბაბუა ძელს გამეტებით სცემდა და მის გუგუნს ერთ წუთში ხალხის გუგუნიც შეუერთდა.

ყოველის მხრიდან მორბოდნენ შეიარაღებული მოლაშქრეები.

დედა ხალხს წინ შეეგება და განრისხებისაგან არაადამიანური ხმით დაიწივლა.

— დესანტი! დესანტი!

ვიღაცამ გაისაზრა და გამანადგურებელთა მაშველი რაზმისაკენ დახმარებისათვის გაქანდა.

რაზმს წინ ბავშვი ძალისძალად წაეგდო და ისე მოჰყავდა. ზარდაცემული დედა დაბნეული თვალებით გასცქეროდა შვილს და არ ესმოდა რა დემართა მის პატარას. კოჭლობდა, ფეხებს ძლივს მოათრევდა, — ალბად რაიმე თუ ატკინეს, სცემეს, აწამეს? ის კი მაინც არხეინად მოდიოდა და დესანტის უფროსს განზრახ რაღაც აბდაუბდას სულმოუთქმელად ეტიტინებოდა.

უკან დივერსანტები მოჰყვებოდნენ.

— მაშ შენც წითელარმიელი იქნები, არა? — შეეკითხა დამცინავი ღიმილით დესანტის უფროსი პატარა მოსაუბრეს და თან თვალყურს ადევნებდა, რევოლვერი მოემარჯვებინა, რომ პატარა ტყვე არსად გაქცეოდა.

ბალღმა მაშინვე იგრძნო გამქირდავი კილო მისი შეკითხვისა, მაგრამ არაფერი არ დაიმჩნია, სიტყვა ისევ ისეთივე გატაცებით განაგრძო:

— უსათუოდ! ოღონდ ეს არის, რომ ძნელი საქმეა... წითელარმიელობა და გმირობა ხომ ერთი და იგივეა!

ფაშისტმა კეპები კუშტად შეიკრა, უნდოდა ერთი სახეში სილა გაეწნა, მაგრამ ამ დროს საფარში თოფმომარჯვებული მოლაშქრეები აიმართნენ.

ბავშვს თვალები ბედნიერებისაგან გაუბრწყინდა და გახარებული ხმით დაიძახა.

— დედა!

დედა შვილს არც გამოეხმაურა, დივერსანტებს მრისხანედ გასძახა:

— დაჰყარეთ იარაღი!

— იარაღი დაჰყარეთ!

— დაგვნებდით!—აგუგუნდნენ მოლაშქრენიც, მაგრამ დესანტის უფროსმა მოასწრო, ბავშვს ხელი დასტაცა და წინ აიფარა.

მოლაშქრეებმა არ იციან რა ჰქნან. ესროლონ, — ბავშვი ენანებათ, არა და არც უსროლელობა იქნება.

დივერსანტებმა თოფები მოიმარჯვეს, ხოლო მოლაშქრეებმა ძირს დაუშვეს. ბავშვმა მაშინვე გაისაზრა, თუ რათ დაუშვეს იმათ თოფები და მუდარით, განწირული ხმით დაიკივლა:

— რას უყურებთ? გვესროლეთ!

მოლაშქრენი კიდევ უფრო დაიბნენ, არავის არ ემეტება თავისი საყვარელი, საერთო შვილი თავისივე ხელით მოსაკლავად.

დედაც დგას. სახეზე ფერ-ფური მისდის. უნდა იკივლოს, მაგრამ ხმას ვერ იღებს, — უნდა ადგილიდან დაიძრას, შვილისაკენ გაქანდეს, მაგრამ ფეხები არ ემორჩილება. სიცაა წაიქცევა კიდეც, მაგრამ ამ დროს გვერდში ბაბუა ამოუდგა. დედას თვალში მოხვდა, თუ როგორ უცახცახებდა ხელში მოხუცს მომარჯვებული ფილთა თოფი.

ბავშვმა გახედა დედას, გახედა ბაბუას, მერე თავის სოფლელებს თვალი საბრალოდ მოავლო და უცებ დესანტის უფროსს სახეში ბჭყალებით შეაფრინდა. ჯალათმა გულში ხელი ჰკრა და მისი იქით მიგდება და დამბაჩის გრიალიც ერთი იქნა.

ბავშვი მიწაზე პურის ძნასავით დაეცა, მაგრამ, პასუხად დედის თოფმაც დაიგრიალა და შვილის გვერდით მკვლელიც მიაწვინა.

ბრძოლის მოლოდინში ორივე მხარე მიწაზე გაწვა.

დედა ყველაზე წინ ჩაწოლილა და ტყვიას ტყვიაზე უგზავნის მოსისხლე მტერს.

დივერსანტები ისე არიან გართული სროლით, რომ უკანიდან ქორივით წამოქროლებული გამანადგურებელნი ვერც შენიშნეს.

ორიოდე წუთი და ჯალათებმა იარაღი დაჰყარეს.

მთელი სოფელი თავის ნორჩ გმირს შემოეხვია, გმირს, რომელიც სიკვდილს ვაჟკაცურად ებრძოდა. დედა... ბაბუა... ყველას სათითაოდ შესცქერის, შესცქერის ისე, თითქოს ყველას ეთხოვება. მერე პირი მწუხარებისავით გააწაპუნა და ოდნავ გასაგონად წაიბუტბუტა:

— დედა... ბაბუა მაპატიეთ...

ყველა ერთხმად ტიროდა. ბაბუა ერთი პირობა დაიბნა, მერე ტყვიებით დაცხავებულ პარტიზანთა დროშას ხელი სტაცა და შვილიშვილს მოწიწებით დააფარა.

სულთმობრძავი ბავშვი უკანასკნელი ძალღონით წაეტანა წითელ დროშას და მადლიერებისაგან უილაჯოდ, არაამქვეყნიურად გაეღიმა.

ბაბუამ სახელოებით ცრემლი შეიწმინდა და შვილიშვილს ყურში ჩასძახა:

— შევარდენი მამა გყავდა შვილო!.. შენც... შევარდნად დაბადებულხარ... — მაგრამ ბავშვს არაფერი არ ესმოდა. მის სახეს გაციებული ღიმილი ისევ დაჰკნათოდა.

დედა ფეხზე წამოიჭრა.

მისი სახე ცრემლით იყო მორწყული, მაგრამ მაინც უტეხად, მედგრად გამოიცქირებოდა. მძვინვარეს და გაგოროზებულს თვალები მტრისადმი ზიზღით აღვსებოდა. ცალი ხელით შაშხანა მტკიცედ ჩაბღუჯა, ხოლო მეორეთი შვილის გვამზე წაფარებული დროშა აიტაცა და მაღლა ააფრიალა.

გაშალა ლაღად შვილის სისხლით შეღებილი წითელი დროშა.

— ამისი... ამისი პასუხიც უნდა გაგვცენ ფაშისტებმა! — დაიძახა ხმამაღლა და შურისგების წყურვილით აღსავსე თვალები ირგვლივ ისე მოავლო, თითქოს მთელ უკრაინას, მთელ საბჭოეთს სამაგიეროს გადასახდელად მოუწოდებდა.

# ვინ მოგიხმოთ თქვენ აქ?

ამ სათაურით რუსეთის სახელმწიფო სალიტერატურო გამომცემლობა უშვებს მოთხრობების კრებულს. კრებულში მოთავსებული მოთხრობები გვიხატავენ იმ აუწერელ ჩაგვრასა და ტერორს, რომელიც ფაშისტურმა აგრესიამ დაპყრობილ ქვეყნებში გაბატონა.

„ვინ მოგიხმოთ თქვენ აქ?“ — ასე ეწოდება იმ მოთხრობას, რომლითაც კრებული იხსნება და რომელიც ცნობილი ნორვეგიელი მწერლის ერიკ-იენს პეტერსენის კალამს ეკუთვნის. მოთხრობაში დახატულია ფაშისტების მიერ ოკუპირებული ნორვეგიის ცხოვრების ნამდვილი სურათი.

შემდეგ კრებულში მოთავსებულია მწერლის სტორმ ჯეიმსონის ინგლისურიდან გადმოთარგმნილი მოთხრობა ავსტრიაზე. მოთხრობაში აწერილია ავსტრიის ცხოვრება გერმანიასთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ. გესტაპოს მეოხებით ცხოვრება ვენაში ჯოჯოხეთად იქცა, თავათ ვენა ლამაზი სტატო ქალაქიდან ბინძურ პროვინციულ ქალაქად გადაიქცა.

მესამე მოთხრობა „ქუჟას ქალაქი“ ეკუთვნის მწერალ ქალ ელისაბედ კაილს. იგი გვიხატავს ფაშისტების თავაშვებულ თარეშს ჩეხოსლოვაკიაში და მოსახლეობის სიძულვილს მათდამი.

ფაშიზმის მიერ დამონებული ჩეხოსლოვაკიის ცხოვრებას გვიხატავს აგრეთვე ინგლისელი მწერალი ჯონ პენი თავის მოთხრობაში „დინამიკა“, რომელიც აგრეთვე ითარგმნება და მალე გამოცემული იქნება იმავე გამომცემლობის მიერ.



სამშობლოსათვის, სტალინისათვის!

**დავცხოთ, თუ სადმე გვახლავს**
**წამგლეჯი, ქვეყნის ურგი.**
**ორივ ერთია ახლა**
**ქვეყნის ფრონტი და ზურგი!**

# სიყვარული სძლევს სიკვდილს

**ა. სულავა**

სამშობლოს სიყვარული ისეთი ადამიანური გრძნობაა, რომელიც ცეცხლოვანი მგზნებარებით ანთებს ადამიანთა მილიონებს და ამოძრავებს გმირობისა და თავდადებისათვის. სამშობლოს სიყვარული უდიდეს ხალხურ მრისხანებად იქცევა, როდესაც სამშობლოს საფრთხე ემუქრება.

ხალხური პატრიოტიზმის ისტორია აღსავსეა აზვირთების ასეთი მაგალითებით. ხალხური გმირობის ნამდვილი ფურცლები მაშინ იწერება, როცა ხალხისათვის ნათელია მისი ბრძოლის საგანი, ბრძოლის ასეთი ნათელი იდეა ბადებს სწორედ საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობის პათოსს და თავდადების გრძნობას.

მებრძოლის ნებისყოფა უძლეველია, როცა მისი გონება ადამიანთა ბედნიერების სიყვარულითაა განათებული. რამდენადაც ძლიერია სიყვარული სამშობლოსადმი, ხალხის ცხოვრების კეთილდღეობისადმი, მოძმე ერების მშვიდობიანობისადმი, კაცობრიული კულტურისადმი იმდენად ძლიერია სიძულვილი იმათდამი, ვინც უხეშად თელავს ფეხქვეშ ხალხის ცხოვრებას. სამშობლოსადმი სიყვარულით და მტრებისადმი სიძულვილით აიხსნება ის უმაგალითო გმირობა, რომელსაც იჩენს ამჟამად საბჭოთა არმია ჩვენს სამშობლოში შემოსეული ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხი და მისი სახელოვანი არმია გმირულად იცავს საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს, ამასთან განთავისუფლებას უმზადებს მთელ კულტურულ კაცობრიობას, რომელსაც ფაშიზმი ბნელ ღამესავით ჩამოაწვა და სისხლისა და ცრემლის მორევში ჩაცურა იგი. უდიდესი ისტორიული მისია ხვდა წილად საბჭოთა ხალხს და მის გმირულ წითელ არმიას — ფაშისტური ბარბაროსების განადგურება. მსოფლიოს არ ახსოვს ასეთი სახის რთული ომი. საბჭოთა ხალხს ვერაგულად თავს დაესხა ბოროტი და სისხლიანი ფაშისტური ყაჩაღური არმია.

მაგრამ საბჭოთა ხალხი გმირულად წინაღუდგა მას, მან გამოიჩინა ყველა ის თვისება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხალხს გააჩნია, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ადამიანებისა და მისი წითელი არმიის თვისებაა, — ულრმესი სიყვარული სამშობლოსადმი, ულრმესი სიყვარული იმ ადამიანისადმი, რომელმაც მისცა საბჭოთა ხალხს ბედნიერება და ნამდვილი სამშობლო. ამიტომ გასაკვირველი არ არის თუ რა სასწაულებრივ ზემოქმედებას იწვევს ბრძოლის დროს უბრალოდ და სხარტულად გამოთქმული ორი სიტყვა: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“.

შესანიშნავად სწერდა ამის შესახებ თეთრფინელების წინააღმდეგ ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ამხ. ვ. კოშუბა. „იქ, ვხედავდი თუ როგორ ერთსულოვანი გაქანებით დგებოდნენ უეცრივ ფეხზე და ხიშტებით ერეოდნენ მტერს ათასობით ადამიანები ჭურვების გრიალსა და ტყვიის ზუზუნში, რადგან მათ ჩაწვდათ უბრალო და ყველაფრის მთქმელი მოწოდება: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“ ჭურვების გრიალი და ტყვიის ზუზუნი კი არა თუ არ ნელდებოდა, არამედ უფრო ძლიერდებოდა, და რა სასწაულთმომქმედი, რა დიადია ეს სიტყვები! ამ სიტყვებს ბრძოლის დროს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ზარბაზნის გრიალს.

მებრძოლის გრძნობა ამ მომენტში, რა თქმა უნდა, გასაგებია ყოველი საბჭოთა პატრიოტისათვის. არწივისებური ხედვით პირდაპირ თვალში უყურებენ ჩვენი გმირები სიკვდილს. და ისინი სიკვდილზე უფრო ძლიერნი არიან“.

ეს შესანიშნავი სიტყვებია და სავსებით ახასიათებენ ჩვენი საბჭოთა ხალხის გმირობასა და თავდადებას. მთელი მსოფლიო, საბჭოთა არმიის გმირობით გაკვირვებული, ერთხმად აღნიშნავს საბჭოთა ჯარისკაცების უშიშროებას სიკვდილის წინაშე. დიახ, ასეა, რადგან სამშობლოსა და სტალინის სიყვარული ის სასწაულებრივი ძალაა, რითაც საბჭოთა მებრძოლი სძლევს სიკვდილს.

არც ერთი დროის ჯარისკაცს არ ჰქონია საბჭოთა მებრძოლზე უფრო ნათელი წარმოდგენა, თუ რისთვის იბრძოდა იგი რადგან მათ არასოდეს არ ჰქონიათ ისეთი თავისუფალი და ბედნიერი სამშობლო, როგორც სოციალიზმის სამშობლოა, ისე, როგორც წარსულში არა ჰყოლიათ ხალხებს ისეთი ბრძენი და სახალხო ბელადი, როგორიც სტალინია. ამიტომ გასაგებია საბჭოთა მებრძოლის ყიჟინი: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“

ეს ნამდვილი საბჭოთა ყიჟინია, საბჭოთა ხალხის გულის სიღრმიდან ამოტანილი ხმები. ეს საბჭოთა პატრიოტიზმის ის ცეცხლია, რომელსაც გმირული იერიშით მიჰყავს საბჭოთა ტანკი, თვითმფრინავი. ეს ის ცეცხლია, რომელიც ტყვიების წვიმით საფლავს უთხრის ფაშიზმის ურდოებს და საბჭოთა ხალხის გამარჯვების ბრწყინვალე ფურცლებს შლის.

დიდება იმ სამშობლოს, რომელმაც შვა რკინის რაინდთა ისეთი არმია, როგორიც არის წითელი არმია!

დიდება იმ ბელადს, რომლის სახელიც უძლეველობის ფიცია და ფაშისტური ბარბაროსობიდან კაცობრიობის ხსნის სიმბოლო, ჩვენი დიდი ეპოქის გამარჯვების დროშა.

# შარა-გზის ყაჩაღი

ავსტრიისა და გერმანიის წინანდელ საზღვარზე ძველად შეხვდებოდით მაწანწალებს, რომლებიც მაშინვე ტყისკენ გადაუხვევდნენ, როგორც კი ბადრაგიან საფოსტო ეტლს დაინახავდნენ. ბინდ-ბუნდში დიდ შარაგზებზე ეს მაწანწალები წინ გადაეღობებოდნენ დაგვიანებულ მგზავრებს და სთავაზობდნენ ღამის გასათევს სამეძავო სახლებში ან სხვა რაიმე ასეთ სამსახურს იმისთვის, რომ მათთან საუბარი გაებათ. ასეთ ადამიანებს ზედმეტ სახელად „შიკლგრუბერს“ უწოდებდნენ. ავსტრიელმა მწერალმა, წარმოშობით ჩეხმა, ნესტროიმ თავის იუმორისტულ და სატირულ მოთხრობებში აგვიწერა ასეთ შიკლგრუბერების — შარაგზის უტიფარ ადამიანების მთელი პლეადა.

თუ შიკლგრუბერს უმალვე იარაღი არ დაანახვე და ჯოხი თავში მაგრა არ წაუთავაზე, იგი უფრო უტიფარი გახდება, მას შეუძლიან წაგართვას საათი, გაგაძროს ტანსაცმელი.

შარაგზის ერთი ასეთი უტიფართაგანი, ასე ვსთქვათ, „ჭეშმარიტ გზას“ დაადგა, ესე იგი ავსტრიელი პოლიციისათვის სამსახურის გაწევით იგი საბაჟოს ერთ-ერთი მეთვალყურე შეიქნა ავსტრიის მოსაზღვრე პუნქტში — ბარნაუში. იგი „ჭკვიანი“ გამოდგა,—დღისით გულმოდგინეთ მუშაობდა, ხოლო ღამე კარგად ეძინა. დღის სამსახურისათვის ღებულობდა ჯამაგირს, ღამღამობით ძილისათვის ღებულობდა ქრთამს კონტრაბანდისტებისაგან და უხვად უყოფდა ფულს პოლიციას. ზემდგომ უფროსებს რომ არ წაჩხუბებოდა, პოლიციამ ეს შიკლგრუბერი წვრილ ჩინოვნიკად აქცია. წვრილ ჩინოვნიკს დიდძალი ფული გაუჩნდა და თავისი სახელის წერა ასომთავრულით დაიწყო.

ასეთი იყო პირველი შიკლგრუბერი, როცა მას შვილი ადოლფი შეეძინა. მამას საკუთარი სახლი გაუჩნდა. მამა პატარა ჩინოვნიკი კოკარდით, დედა— საქათმით, შვილი კიდევ ქალაქ ლინცის სკოლაში ბედოვლათობს და ბანქოს თამაშში ამხანაგებს ატყუებს. ადოლფს ბიძა უკვდება. სიკვდილის წინ იგი ძმისწულს ძველი კარგად გამომწვარი ჩიბუხით, ლუდის სასმისით და ტყავის საფულეთი ასაჩუქრებს. საფულეზე წარწერილია ვენზელით ბიძის გვარი „ჰიტლერი“.

ამის დანახვაზე ადოლფ შიკლგრუბერს აზრად მოსდის — მიიღოს ბიძისგან მემკვიდრეობით მისი გვარი. ეს ბევრად უფრო იოლი იყო, ვიდრე სკოლიდან რაიმე ცოდნის მიღება. თექვსმეტი წლის ადოლფი სკოლიდან სამარცხვინოდ გააძევეს. ამის შემდეგაც მან ვერაფერი ისწავლა და არაფრის კეთებაც არ მოისურვა. დედ-მამის გარდაცვალებისთანავე მთელი მათი ავლადიდება გაანიავა და, როგორც შიკლგრუბერი, სამუშაოდ „ცხოვრების ფართო შარაგზაზე“ გამოვიდა. სკოლიდან მას მხოლოდ ერთი მოგონება გამოჰყვა: ჭკუაშეშლილი მასწავლებელი ამტკიცებდა, რომ გერმანია მთელი ქვეყნის მპყრობელი უნდა გახდესო, რომ კაცობრიობის ისტორია სხვა ერებზე გერმანელთა გამარჯვების ისტორიააო, რომ დედამიწის მთელი მოსახლეობა იყოფა ბატონებად (ცისფერთვალებიან, ქერათმიან გერმანელებად) და მონებად, ე. ი. ყველა იმ დანარჩენ ხალხად, რომლითაც დასახლებულია დედამიწა. ეს ძალიან იოლად დასამახსოვრებელი იყო. ამისთვის საჭირო არ იყო ფიქრი, საჭირო იყო მხოლოდ ამ ბატონთა რიცხვში მოხვედრა. მაგრამ ამას არსებითი დაბრკოლება ეღობებოდა: ჰიტლერი იყო ავსტრიის ქვეშევრდომი, ჰიტლერი იყო შავთმიანი და თვალები მას ბოთლისფერი ჰქონდა.

ადოლფ ჰიტლერმა რამდენიმე პროფესია სცადა: უნდოდა არქიტექტორი გამხდარიყო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა — მოითხოვდნენ დიპლომს, თუნდაც რაიმე სკოლის დამთავრების შესახებ. იგი უბრალო აგურის დამწყობადაც არ გამოდგა მშენებლობაზე. სცადა მუშების გულის მოგებაც და მათი საშუალებით კარიერის გაკეთება, მაგრამ მუშები გაერთიანებული იყვნენ პროფესიულ კავშირში, ჰიტლერს კი პროფკავშირი ეზიზღებოდა. როგორ და რით ცხოვრობდა, რით იცვამდა ასე კოპწიად, ამაზე თვით ჰიტლერიც კი სდუმს. შემდგომში, როცა საიდუმლო გერმანული ცენტრის დახმარებით, იმ ცენტრის დახმარებით, ახალი სისხლის მღვრელი სასაკლაო რომ გააჩაღა, ჰიტლერი ფიურერი გახდა, გამოქვეყნდა მისი ანკეტა, რომელიც ადამიანს ანცვიფრებს უამრავი ცარიელი ადგილით. მეგობრები ამ ცარიელ ადგილებს საიდუმლო მნიშვნელობას აძლევენ: „ფიურერი იბრძოდაო“. მაგრამ ჰიტლერს არავითარი პროფესია სათაკილოდ არ მიაჩნდა: მუშებმა იგი საწარმოდან გააძევეს როგორც ჯაშუში, როგორც „ყვითელი“, თანაც მაგრა სცემეს. იგი მუშაობდა პოლიციის წვრილფეხა აგენტად, იყო ცოცხალი საქონლის — ადამიანის სხეულის მიმწოდებელი მიუნხენისა და ვენის საროსკიპოებისათვის. არ არსებობს ისეთი ბინძური და ბნელი საქმე, რომელიც სათაკილოდ ჩაეთვალოს ამ შავბნელ ადამიანს.

როცა ჰიტლერი ოცდახუთი წლის შესრულდა, ვილჰელმ მეორემ მთელ მსოფლიოს ომი გამოუცხადა. ბოდვამ გერმანიის მსოფლიო ბატონობის შესახებ შეიპყრო ჰიტლერი, როგორც ბნედიანი. მაგრამ გერმანული წარმოების მხამიანი გაზებით მოწამლული ჰიტლერი პაზევალკის ლაზარეთში მოხვდა, საიდანაც იგი არ გამოსულა თვით ვერსალის ზავის დადებამდე.

გერმანია დამარცხდა და მოიდრიკა. უნტერ-ოფიცერი ჰიტლერი ბნედიანის ცოფმორეული ყვირილით შეხვდა ზავის დადებას. შემდეგ იგი ოდნავ გამოაჯანსაღა იმ აზრმა, რომ შეიძლებოდა თვით გერმანიის შიგნით გაგრძელებულიყო ომი.

და, მართლაც, თვით ყველაზე უფრო გამხეცებულ გენერლებს, რომლებიც ათვინიერებდნენ დამშეულ გერმანელ ხალხს, არ ჰყოფნით სიტყვა მეორე ქვეითი პოლკის იმ უნტეროფიცრის საქებრად, რომელიც მიუნხენის ქუჩებზე ტყვიას უშენდა ქალებსა და ბავშვებს. ჰიტლერი უცბად უახლოვდება გერმანული სამხედრო კასტის ყველაზე გაველურებულ წარმომადგენლებს, იმ ადამიანებს, რომლებიც პომერანიის კოშკების მყუდროებაში, კონცერნების და ტრესტების კაბინეტებში ამზადებდნენ ინგლისისა და საფრანგეთის მოტყუებას, აწყობდნენ ომს ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ.

ვიღაც დრექსლერის თაოსნობით გერმანიაში ჩაისახა ნაციონალ-სოციალისტების (ნაცის) პარტია. ამ პარტიის ორგანიზატორებმა ფაშიზმი გამოაცხადეს ისეთი ომის მომზადების ძირითად პროგრამად, რომელიც გერმანიის მიერ ყველა ხალხის დამონებით, ებრაელობის ამოწყვეტით, ინგლისის ძლიერების მოსპობით, ბუმბერაზი საბჭოთა კავშირის დაპყრობით დამთავრდებოდა. ჰიტლერის ჯალათურმა საქციელმა მიუნხენში კონტრდაზვერვის უფროსის პოდპოლკოვნიკ რემის ყურადღება მიიქცია (ერთი ამ ექსცესულიდან—დრექსლერი უკვალოდ გაქრა მაშინვე, როგორც კი მან სცადა შეეჩერებინა ადოლფის მანიაკური კარიერიზმი).

1921 წლის 4 იანვარს მიუნხენის ლუდხანაში „კინდლკელერ“-ში შვეციის ერთ-ერთი საგიჟეთიდან ამ ხანებში გამოსულ ყოფილ მფრინავ გერინგთან დაძმობილებულმა ჰიტლერმა უეცრად თავი „გერმანიის მართველად“ გამოაცხადა, ხოლო გერინგმა იქვე ლუდხანაში შეჰყვირა: „ეხლა თქვენ რამდენიც მოგესურვებათ, იმდენი ლუდი გექნებათო“. ამ გამოსვლას სახელად ლუდისმსმელთა ჯანყი ეწოდა.

პრინცმა რუპრეხტ ბავარიელმა ჰიტლერის დაპატიმრების ბრძანება გასცა, მაგრამ გერინგმა ამ დაპატიმრებიდან და ჰიტლერის მოსალოდნელი გასამართლებიდან მეტად მყვირალა საქმე შექმნა. უნტეროფიცერ ჰიტლერის სახელით დაინტერესდნენ არა მარტო წვრილი ბურჟუები, არამედ გერმანიის სამხედრო წრეების შეთქმული წარმომადგენლები, რომელთაც არ გააჩნდათ არც მართვა-გამგეობის ნიჭი, არც პატრიოტიზმი და რომელნიც თავიანთი წამხდარი საფინანსო საქმეების გამოსწორებას ახალი სამხედრო ავანტიურით ფიქრობდნენ. პროგრამა წარმოუდგენლად მარტივი იყო: გამოეწურათ უკანასკნელი წვენი გერმანიიდან შეიარაღებისათვის, დასძგერებოდნენ მეზობლებს და დაეწყოთ მთელი ევროპის განურჩეველი ძარცვა-გლეჯა. ვინმე ჰანს ვენდტმა შეთხზა ბროშურა „ჰიტლერი განაგებს“. გერმანელმა სვავებმა მოიმოქმედეს ყველაფერი, რომ შეექოთ და განედიდებიათ ბნედიანი უნტერ-ოფიცერი.

გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელდმარშალი ჰინდენბურგი უკვე ბებერი იყო. მისმა კანცლერებმა პაპენმა ან ბრიუნინგმა არ იცოდნენ, თუ როგორ შესდგომოდნენ საქმეს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მარდი და მოხერხებული უნტეროფიცერი ადოლფ ჰიტლერი, რომელიც ყველაფერს იკადრებდა. სამეული — ადოლფ ჰიტლერი, გერმან გერინგი და იოზეფ გებელსი— დაბინავდა ბერლინის საუკეთესო სასტუმროში — „კაიზერ ჰოფში“. დაინტერესებული წრეები ჰიტლერს ფულს აძლევდნენ. ვიღაც დიდ თამაშს იწყებდა. ჰინდენბურგმაც, რომელიც 1932 წელს პრეზიდენტად ხელახლა იქნა არჩეული, უცბად დაინახა, რომ არჩევნებში მის კონკურენტად გამოდის მელის დრუნჩიანი უნტერ-ოფიცერი ჰიტლერი.

ჰინდენბურგი ამ კაცს უნდა შეხვედროდა. მაგრამ ჰიტლერს ერთხელ ასეთი გაუფრთხილებელი სიტყვები წამოსცდა: „მე მესაჭიროებიან მაგარმუშტიანი ადამიანები, რომლებიც არაფრის წინაშე უკან არ დაიხევენ, როცა საჭირო იქნება ვინმესთვის თავის გაპობა, ხოლო თუ ამასთან ეს ადამიანები საათს ან რაიმე ოქროს სამკაულს აართმევენ ვისმეს, ეს მე არაფრად არ მიმაჩნიაო“. ამ გარემოებამ ჰინდენბურგი ჩააფიქრა: მას თავისი მაგიდიდან უნდა მიემალა არა მარტო ოქროს საათი, ოქროს პორტსიგარი, ბრილიანტის ჩარჩო კაიზერ ვილჰელმის სურათით, როცა ლაქიას მის კაბინეტში ადოლფი შეჰყავდა. ჰინდენბურგი უნდა ჩაფიქრებულიყო იმაზედაც, ხომ არ გაჰქრებოდა უკანასკნელი ნაშთი მისი ფელდმარშლური პატიოსნებისა, თუ იგი, მოხუცი ჰინდენბურგი, ამ თავზეხელაღებულ ვაჟბატონს, რომელსაც გაიძვერა დალალის მანერები აქვს, ბისმარკის, — გერმანიის ამ ერთ-ერთი ჭკვიანი კაცის, სავარძელში ჩასვამდა, იმ კაცის სავარძელში, რომელიც ყოველთვის ურჩევდა გერმანიას—რუსეთთან არ ეომა. მაგრამ კაიზერის უნტერ-ოფიცერს დამთხვეულის ტვინი აქვს, იმას არაფერი ენანება, ის არაფერზე პასუხს არ აგებს. პასუხს არ აგებს თვით თავის გონებრივ ავლადიდებისათვის. ის ყველაფერს ჩაიდენს, არაფრის წინაშე უკან არ დაიხევს, უკან არ დაიხევს თვით თავისი მფარველის რემის მოკვლის და რეიხსტაგისთვის ცეცხლის წაკიდების წინაშე. რეიხსტაგის შენობის დაწვა ბერლინში მხოლოდ პატარა ცდა იყო, პროგრამის თანახმად ამას უნდა მოჰყოლოდა მსოფლიო ხანძარი, რომლის დროსაც ჰიტლერის გაცოფებული ქოფაკები ტუჩებზე დორბლმორეულნი, ცეცხლითა და მახვილით მოსპობდნენ და გაანადგურებდნენ საფრანგეთს, ბელგიას, ჰოლანდიას, დანიას, ნორვეგიას, პოლონეთს, ჩეხიას, უნგრეთს, ავსტრიას.

ჩვენს სამშობლოს საზღვრებში შემოჭრილი ჰიტლერი საბარგულეებით მოათრევს მონარქიული რუსეთის ტახტის ორ კანდიდატს. გაცოფებული ძაღლები გადმოგდებული ენით, რომელიც შეღებილია ინგლისელი, ფრანგი და ნორვეგიელი ბავშვების სისხლით, ეცნენ ჩვენ ქვეყანას და, სისხლიან ბოდვაში გართულნი და დარეტიანებულნი, მოათრევენ ჩვენს სამშობლოში ჰიტლერის ოფიცერს ლუი ფერდინანდ პრუსიელს, როგორც მეფეს № 1-ს, და მის მცირეწლოვან ნათესავს, ჯერ კიდევ ბავშვს, ერთ-ერთი გალოთებული დიდი მთავრის შვილს, როგორც მეფეს № 2-ს.

რა წარმტაცი სანახაობაა! ფართო შარაგზის შიკლგრუბერი, რომელსაც ხელი გაუვარჯიშებია ბებუთის ტრიალში, როსკიპობასა და სხვა ბინძურ საქმეებში, თავის საბარგულეებით მოათრევს ფრიად ბნელი წარმოშობის ორ ნაბოლარას ცარიზმის აღსადგენად რუსეთში.

გერმანული ოქროს გამოფიტულ მარაგიდან ჰიტლერმა ორი თავისი თანამშრომელი ყაჩაღის მარკისა და ფინკის სახელზე ბერლინში ბანკის კანტორა გახსნა. ჰიტლერი ახლა მილიონერია. ის ფიქრობს გაამრავლოს ეს მილიონები საბჭოთა კავშირთან ომით. როცა შიკლგრუბერი უტიფარი ხდება, მას დაუნდობლად სცემენ სახეში. საერთაშორისო ყაჩაღსა და დამრბევს ჰიტლერს ასეთი ცემა ვერ გაასწორებს. იგი მოსპობილ უნდა იქნას.

**ა. ვინოგრადოვი,**
**ა. დეიჩი.**

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ დადიანი, ს. ეული, ბ. ლეონიძე, ბ. ნატროშვილი, შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 33896